

1. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან რომელშია უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?

- ა) მესტიის
 - ბ) ქობულეთის
 - გ) ლანჩხუთის
 - დ) ზესტაფონის
- სწორი პასუხია: ა)
-

2. რომელ რეგიონში შედის ესპანეთი?


- ა) ცენტრალური ევროპის
 - ბ) ჩრდილოეთი ევროპის
 - გ) სამხრეთი ევროპის
 - დ) სამრეთ-აღმოსავლეთი ევროპის
- სწორი პასუხია: გ)
-

3. რომელ ქვეყანაშია სურათზე გამოსახული არქიტექტურული კომპლექსი?



- ა) საფრანგეთში
 - ბ) ბრაზილიაში
 - გ) იტალიაში
 - დ) საბერძნეთში
- სწორი პასუხია: გ)
-


4. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?



- ა) 0-4
- ბ) 25-29
- გ) 50-54
- დ) 75-79

სწორი პასუხია: ბ)

5. რომელია C წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები?



- ა) ჩ.გ. 5° დ.გ. 125°
- ბ) ს.გ. 5° ა.გ. 125°
- გ) ჩ.გ. 4° დ.გ. 118°
- დ) ს.გ. 4° ა.გ. 118°

სწორი პასუხია: გ)

6. რუკაზე, რომლის მასშტაბია 1 : 1 500 000, ქ. ქუთაისსა და ქ. განჯას შორის მანძილი 24 სანტიმეტრია. დაადგინეთ, რამდენი კილომეტრია აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებს შორის მანძილი?

- ა) 24 კმ
- ბ) 36 კმ
- გ) 360 კმ
- დ) 3600 კმ

სწორი პასუხია: გ)

7. რომელია ტყვია-თუთიის საბადო?

- ა) ლოპოტის
- ბ) ძეგვის
- გ) ასკანის
- დ) კვაისას

სწორი პასუხია: დ)

8. რომელ ქალაქშია ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა ყველაზე დაბალი?

ქალაქი	ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა °C	ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა °C
A	+25	+5
B	+15	-10
C	+24	+1
D	+16	-6

- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

სწორი პასუხია: ა)

9. რა ეწოდება წყლის მოცულობას, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (წლის განმავლობაში) ხმელეთის ზედაპირიდან ჩამოედინება?

- ა) მდინარეული ქსელის სიხშირე
- ბ) ზედაპირული ჩამონადენი
- გ) წყალშემკრები აუზი
- დ) წლიური ხარჯი

სწორი პასუხია: ბ)

10. რა არის მიგრაციის სალდო?

- ა) იმიგრანტებისა და ემიგრანტების რაოდენობებს შორის სხვაობა
- ბ) იმიგრანტების რაოდენობასა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელს შორის სხვაობა
- გ) ემიგრანტების რაოდენობასა და სიკვდილიანობის კოეფიციენტს შორის სხვაობა
- დ) შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა

სწორი პასუხია: ა)

11. სად მდებარეობს გეოგრაფიული ობიექტი, რომლის კოორდინატებია 20° ს.გ. და 60° დ.გ.?

- ა) ეკვატორის ჩრდილოეთით და გრინვიჩის მერიდიანის დასავლეთით
- ბ) ეკვატორის სამხრეთით და გრინვიჩის მერიდიანის დასავლეთით
- გ) ეკვატორის ჩრდილოეთით და გრინვიჩის მერიდიანის აღმოსავლეთით
- დ) ეკვატორის სამხრეთით და გრინვიჩის მერიდიანის აღმოსავლეთით

სწორი პასუხია: ბ)

12. რელიეფის რომელი ტიპია დაკავშირებული ზედაპირული წყლების მოქმედებასთან?

- ა) ტექტონიკური
- ბ) ეროზიული
- გ) ეოლური
- დ) ვულკანური

სწორი პასუხია: ბ)

13. რომელი ტბაა აღნიშნული კონტურულ რუკაზე?



- ა) მადათაფა
- ბ) ფარავნი
- გ) ტაბაწყური
- დ) საღამო

სწორი პასუხია: ა)

14. რომელი ფაქტორი არ ახდენს გავლენას საქართველოს კლიმატის ფორმირებაზე?

- ა) მზის რადიაცია
- ბ) ატმოსფეროს ცირკულაცია
- გ) რელიეფი
- დ) ოკეანური დინებები

სწორი პასუხია: დ)

15. რომელ სახელმწიფოს აკრავს შავი ზღვა?

- ა) უკრაინას
- ბ) სერბეთს
- გ) ჩეხეთს
- დ) საბერძნეთს

სწორი პასუხია: ა)

16. რომელი არ არის მარმარილოს საბადო?

- ა) სალიეთის
- ბ) სადახლოს
- გ) ლოპოტის
- დ) სუფსის

სწორი პასუხია: დ)

17. საქართველოს რომელი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი?

- ა) სამცხის, იმერეთისა და რაჭის
- ბ) სამცხის, იმერეთისა და თორის
- გ) ჯავახეთის, ქართლისა და აჭარის
- დ) ჯავახეთის, ქართლისა და გურიის

სწორი პასუხია: ბ)

18. რომელი ნაკრძალია აღნიშნული რუკაზე ციფრით 3?



- ა) კინტრიშის
 - ბ) ბიჭვინთა-მიუსერის
 - გ) რიწის
 - დ) ფსხუ-გუმისთის
- სწორი პასუხია: დ)
-

19. როგორი ქარია მუსონი?

- ა) მუდმივი
- ბ) დღე-ღამური
- გ) მთა-ხეობის
- დ) სეზონური

სწორი პასუხია: დ)

20. რომელ რეგიონში მდებარეობს კურორტი გუდაური?

- ა) იმერეთში
- ბ) სამცხე-ჯავახეთში
- გ) მცხეთა-მთიანეთში
- დ) კახეთში

სწორი პასუხია: გ)

21. სხვადასხვა წელს გადაღებული შანხაის ფოტოების მიხედვით, როგორმა პოლიტიკამ განაპირობა ქალაქში მომხდარი ცვლილებები?



- ა) სოციალურმა
- ბ) ეკონომიკურმა
- გ) დემოგრაფიულმა
- დ) აგარარულმა


სწორი პასუხია: ბ)

22. ქვეყანაში შობადობის კოეფიციენტი უდრის 45 ‰, ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი 32‰. რას უდრის მოკვდაობის კოეფიციენტი?

- ა) -13 ‰
- ბ) -1.4 ‰
- გ) 13 ‰
- დ) 87 ‰

სწორი პასუხია: გ)

23. აშშ-ის რომელი ქალაქის მოსახლეობის დინამიკაა ასახული გრაფიკზე?



- ა) ლოს-ანჯელესის
- ბ) დეტროიტის
- გ) მაიამის
- დ) სან-ფრანცისკოს


სწორი პასუხია: ბ)

24. სად მდებარეობს ევროპის საბჭოს შტაბ-ბინა?

- ა) ვენაში
- ბ) ბერლინში
- გ) სტრასბურგში
- დ) ოსლოში

სწორი პასუხია: გ)

25. ჩამოთვლილთაგან, რომელ რეგიონშია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის უფრო დაბალი მაჩვენებელი?



- ა) ლათინურ ამერიკაში
- ბ) აზიაში
- გ) ავსტრალიასა და ოკეანეთში
- დ) ჩრდილოეთ ამერიკაში

სწორი პასუხია: ბ)

26. საქართველოში სად არის აღრიცხული ნალექების მინიმალური რაოდენობა?

- ა) შირაქის ველზე
- ბ) ელდარის დაბლობზე
- გ) ივრის ზეგანზე
- დ) ჯავახეთის ქვაბულში

სწორი პასუხია: ბ)

27. სად მდებარეობს გაერთიანებული სამეფოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის უდიდესი ნაწილი?

- ა) ჩრდილოეთის ზღვის შელფზე
- ბ) დუვრის სრუტეში
- გ) ბისკაის ყურეში
- დ) ირლანდიის ზღვის შელფზე

სწორი პასუხია: ა)

28. რომელია აზიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფო?

- ა) იაპონია
- ბ) ჩინეთი
- გ) სინგაპური
- დ) ინდოეთი

სწორი პასუხია: გ)

29. რომელი მთები მდებარეობს აფრიკაში?

- ა) კორდილიერები
- ბ) ალპები
- გ) ატლასის
- დ) ანდები

სწორი პასუხია: გ)

30. რომელი სრუტე აკავშირებს შავსა და მარმარილოს ზღვებს?

- ა) ბოსფორის
- ბ) გიბრალტარის
- გ) პა-დე-კალეს
- დ) ლა-მანშის

სწორი პასუხია: ა)

31. ჩამოთვლილთაგან, რომელია გაერთიანებული სამეფოს დომინიონი?

- ა) ახალი ზელანდია
- ბ) აშშ
- გ) ჩინეთი
- დ) სარ-ი

სწორი პასუხია: ა)

32. რომელმა ზღვაოსანმა უწოდა მსოფლიოს ყველაზე დიდ ოკეანეს - „წყნარი“?

- ა) ქრისტეფორე კოლუმბმა
- ბ) ფერნანდო მაგელანმა
- გ) აბელ ტასმანმა
- დ) ვასკო და გამამ

სწორი პასუხია: ბ)

33. ჩამოთვლილთაგან, რომელი გეოგრაფიული კოორდინატი ვერ იარსებებს?

- ა) ჩ. გ. 48°52' ა. გ. 2°20'
- ბ) ს. გ. 48°52' ა. გ. 2°20'
- გ) ს. გ. 88°52' ა. გ. 2°20'
- დ) ჩ. გ. 98°52' ა. გ. 2°20'

სწორი პასუხია: დ)

34. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში მდებარეობს მ. დიდი აბული?

- ა) ჯავახეთში
- ბ) აჭარაში
- გ) ქართლში
- დ) გურიაში

სწორი პასუხია: ა)

35. რომელ ქედს კვეთს საქართველოს სამხრეთი საზღვარის მონაკვეთი?

- ა) აჭარა-იმერეთის
- ბ) ჯავახეთის
- გ) თრიალეთის
- დ) სვანეთის

სწორი პასუხია: ბ)

36. რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება მდინარე მურეი?

- ა) წყნარი
- ბ) ინდოეთის
- გ) ატლანტის
- დ) ჩრდილოეთის ყინულოვანი

სწორი პასუხია: ბ)

37. რომელი ზღვა ეკუთვნის წყნარი ოკეანის აუზს?

- ა) ბანდის
- ბ) თეთრი
- გ) კარის
- დ) ადრიატიკის

სწორი პასუხია: ა)

38. რომელი ოკეანის აუზის ზღვები აკრავს კოლის ნახევარკუნძულს?

- ა) ატლანტის
- ბ) წყნარი
- გ) ინდოეთის
- დ) ჩრდ. ყინულოვანი

სწორი პასუხია: დ)

39. მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე რომელი სიმაღლეები აღინიშნება მწვანე ფერით?

- ა) 0-200 მ
- ბ) 200-500 მ
- გ) 500-1000 მ
- დ) 1000-2000 მ

სწორი პასუხია: ა)

40. რომელი სახელმწიფოს კონტურია ნაჩვენები ნახატზე?



- ა) აშშ-ის
- ბ) კანადის
- გ) მექსიკის
- დ) ავსტრალიის

სწორი პასუხია: ა)
